ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4198150

ნომერი: AR1633534

თარიღი : 27.09.2018

გაცემის თარიღი : 02.10.2018

გაცნობის თარიღი : 10.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჭავჭავაძის გამზირი N23ა.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილ ცოტაძე პ/ნ 01024002715
- კეკელიძის ქ.#14

ორგანიზაცია:
- შპს კანალესა კოდი: 405021925

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 სექტემბრის NAR1633534 განცხადებით მომართა ვასილ ცოტაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, N23ა, შპს „კანალესა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.075), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 26 სექტემბრის №4155149 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 06 სექტემბრიდან 2020 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, აღნიშნავს რომ შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ტექნიურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული ავტოსადგომის, საზაფხულო და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების მაჩვენებლები არ შეესაბამება ამავე პროექტით შეთანხმებულ მაჩვენებლებს. შესაბამისად ითხოვს დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 11192.86 კვ.მ-ის ნაცვლად 11422.56 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 3356.58 კვ.მ-ის ნაცვლად 3306.51 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 3078.37 კვ.მ-ის ნაცვლად 3137.03 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 445.94 კვ.მ-ის ნაცვლად 667.05 კვ.მ, ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად დატოვებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 11422.56 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 3306.51 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 3137.03 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 667.05 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4138396 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.